572/1958/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!"

№ 5 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი
მაისი 1958

# პირველი მაისი



მურმან ლებანიძე

პარადი რომ დასრულდა,
ავტო დახვდათ წინ,
მაგრამ წასვლა არ სურდათ
ოქტომბრელებს შინ.

იკამათეს ბავშვებმა,
ბოლოს ერთხმად თქვეს,
რომ მაისი სჯობია
ყველა თერთმეტ თვეს:

— ეს წითელი ალმები
ჩვენთვის მოაქვს ვის?
— რა თქმა უნდა, მაისსო,-
გადაწყვიტეს მყის...

— პირველი კუნწულებიც
ალუჩის და ბლის?
— ახლა ხენდრო წითელი,
ახლა მარწყვი ტყის?

მზეს კი ელიმებოდა—
გაზაფხულის მზეს,
იდგა ტურფა მაისის
საოცნებო დღე

ყვავილებში ჩაფლული
გზა უხმობდათ წინ...
დაბრუნება არ სურდათ
ოქტომბრელებს შინ.

თინათინ კვირიკაძე

გივი, გივი, აქ ჩამოდი,
მოიყვანე დათა, გელა,
და მოვაწყოთ ჩვენს ეზოში
დიდი ველოგადარბენა.
ეს ადგილი საკმაოა
სარბენად და საჭირითოდ,
რომელიმე პიონერი
შეჯიბრების მსაჯი იყოს.
მე საჭეზე დავამაგრებ
წითელ ალამს პაწაწინას,
შურდულივით გავქანდები,
გამისწარით, აბა, წინა!
აი, ახლა გამოჩნდება,
ვინც ჩვენ შორის არის მარჯვე
ვინც პირველი მივა ხაზთან,
ის ბიჭუნა გაიმარჯვებს!





ნახატი ალ. ბანძელაძისა

7488

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირება




მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი, რომ მხურვალედ მეყვარება ჩემი საბჭოთა სამშობლო, ვიცხოვრებ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა, როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია.

## სსრ კავშირის ნორჩ პიონერთა კანონები

პიონერს უყვარს თავისი სამშობლო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი ემზადება იმისათვის, რომ გახდეს საკავშირო ალკკ წევრი.

პიონერი პატივს სცემს იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და აყვავებისათვის ბრძოლას.

პიონერი მეგობრობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბავშვებთან.

პიონერი ბეჯითად სწავლობს, დისციპლინიანი და ზრდილობიანია.

პიონერს შრომა უყვარს და უფრთხილდება ხალხის ქონებას.

პიონერი კარგი ამხანაგია, უმცროსებზე ზრუნავს, უფროსებს ეხმარება.

პიონერი გამბედავი იზრდება და სიძნელეებისა არ ეშინია.

პიონერი სიმართლეს ამბობს, იგი უფრთხილდება თავისი რაზმის სახელს.

პიონერი თავის თავს აწრთობს, ყოველდღე ასრულებს გამამხნევებელ ფიზკულტურულ ვარჯიშს.

პიონერს უყვარს ბუნება, იგი მწვანე ნარგავების, სასარგებლო ფრინველებისა და ცხოველების დამცველია.

პიონერი მაგალითია ყველა ბავშვისათვის.



**19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა.**



# საჩუქარი

ელიზერ ყიფიანი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

ნუგზარი დღეს ძალიან გახარებულია.

ყველამ, ყველამ, გიამ და მზიამ, ნანამ და რამაზმა, ლამარამ და შოთამ საჩუქრები დაამზადეს პიონერებისათვის... პიონერებისათვის კი არა, როგორ თქვა დედამ? ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეაო.

ჰოდა, ნუგზარი ახლოს არ გაიკარეს ეზოს ამხანაგებმა: შენ ჯერ პატარა ხარ, სკოლაშიც არ დადიხარ, საჩუქრის დამზადება სად შეგიძლიაო.

აბა, ვნახოთ, თუ არ შეუძლია!

ნუგზარს თეთრგულა მტრედი ჰყავს, მამამ მოუყვანა შარშან, როცა ნუგზარი ავად იყო. იქვე მეზობლად კი, პიონერთა კლუბის ეზოში, უამრავი მტრედი ცხოვრობს. აი, სწორედ იქ მიიყვანს თავის თეთრგულას ნუგზარი.

ნუგზარი ოთახიდან გამოვიდა. მისი მტრედი აივანზე დასეირნობდა, ეტყობა, იატაკის ფიცრებს შორის საკენკს ეძებდა. ნუგზარი მოეფერა მტრედს, ხელში აიყვანა და ამაყად ჩამოვიდა კიბეებზე, მაგრამ ეზოში არავინ იყო, არც ქუჩაში ჩანდნენ ბავშვები. ნუგზარი პიონერთა კლუბისაკენ გაემართა.

კლუბის ეზო მტრედებს დაეფარა, თითქოს ქარი არხევდა მინდვრის თეთრ ყვავილებსო. ნუგზარმა თავის მტრედს აკოცა და დასვა. ორივეს, ბიჭსაც და ფრინველსაც, გამალებით უძგერდათ გული.

ჭიშკარში გამოსვლისას ნუგზარმა კიდევ ერთხელ მიიხედა თავისი მტრედისაკენ და სახლისაკენ მოკურცხლა.

ახლა ხომ დაიჯერებენ ეზოს ბავშვები, რომ ნუგზარსაც უყვარს პიონერები, რომ მასაც შეუძლია საჩუქრის გაკეთება? გახარებული იყო ბიჭი.

ეზოში კვლავ არავინ ჩანდა. ნუგზარმა დინჯად აიარა სახლის კიბეები, აივანზე შეაბიჯა და უეცრად გაკვირვებისაგან პირი დააღო: მისი მტრედი, ვითომც აქ არაფერიაო, მშვიდად დაგოგმანებდა აივანზე, ისევ ძველ ბინაზე დაბრუნებულიყო.

„სულელი,—გაიფიქრა ნუგზარმა,— ალბათ, არ იცის, რომ იგი დღეიდან პიონერების მტრედია“.





# საქართველოს დეკადა



**თ**ქვენ, ალბათ, იცით, რომ ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა.

დეკადა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ათ დღეს. ჰოდა, ამ ათი დღის განმავლობაში საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ქართველმა მსახიობებმა, კომპოზიტორებმა დადგეს სპექტაკლები; მომღერლებმა, მოცეკვავეებმა გამართეს კონცერტები, სადაც უჩვენეს თავიანთი ხელოვნება. ქართველმა მწერლებმა მოაწყვეს სალამოები და გააცნეს საუკეთესო ნაწარმოებები, ქართველმა მხატვრებმა გამოფინეს ნახატები. წაიღეს აგრეთვე ჩვენი ქართული წიგნები, მათ შორის თქვენთვის კარგად ნაცნობი საბავშვო გამოცემებიც. დეკადას ყველა რესპუბლიკა მართავს ხოლმე მოსკოვში და ეს მუდამ დიდი ზეიმია მთელი საბჭოთა კავშირისათვის. გასაკვირიც არ არის, რადგან ყველას აინტერესებს, თუ რა წარმატებას მიაღწია ამა თუ იმ რესპუბლიკამ ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. საქართველოსათვის ეს მეორე დეკადა გახლავთ, პირველი ოცი წლის წინათ მოეწყო.

საქართველოს დეკადაზე ჩვენი პიონერებიც წავიდნენ: თბილისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, ხაშურიდან და სხვა ქალაქებიდან. მოცეკვავე და მომღერალ პიონერთა გუნდებმა თავიანთი ოსტატობა აჩვენეს. გამოვიდნენ შესანიშნავი პატარა ტანმოვარჯიშენი, აკრობატები. მეჩონგურეებმა და მეფანდურეებმა იმღერეს ქართული სიმღერები. ნორჩმა მუსიკოსებმა ფორტეპიანოზე, ჩელოზე და ვიოლინოზე შეასრულეს საუკეთესო ნაწარმოებები.

ქართველ ბავშვებს სიხარულით დახვდნენ მოსკოველი პიონერები. დაათვალიერებინეს თავიანთი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები: წითელი მოედანი, კრემლი, მავზოლეუმი, მუზეუმები, მეტრო.

ქართული დეკადა დიდი ზეიმით ჩატარდა.

ნახატი ალ. ბანძელაძისა






# შეგირდობა თბილისში

ი. გრიშაშვილი

ნახატები ქ. მახარაძისა

მჭელად, ხელმოკლე მშობლებს სად ჰქონდათ იმდენი საშუალება, რომ შვილები სკოლაში მიებარებინათ. ამიტომ მშობლები ქალებს ხელსაქმეს აჩვევდნენ, ხოლო ვაჟიშვილებს შეგირდად მიაბარებდნენ ხოლმე სხვადასხვა ხელოსნებს: თერძებს, მჭედლებს, ოქრომჭედლებს, დალაქებს, ხარაზებს, ხარატებს თუ სხვებს.

სწავლაში მდიდართა ბავშვებს გაუღიმებდა ბედი, ღარიბების სკოლა კი ქუჩა იყო; აქ იზრდებოდნენ, აქ აკვირდებოდნენ ცხოვრებას და ჯაჭვანწყვეტით იკვლევდნენ გზას.

მშრომელთა შვილები ბალღობიდანვე მძიმე შრომაში ჩაებმებოდნენ; შვიდი-რვა წელი არც კი ჰქონდათ შესრულებული, რომ მამა თავისთან წაიყვანდა სამუშაოზე, გვერდში ამოიყენებდა და ისევე, როგორც თვითონ, ჯაფით წელში სწყვეტდა. ან თუ ოჯახში მცირეწლოვანი ვაჟები ჰყავდა, მაშინ ხელოსნებს ბიჭად მიაბარებდა რაიმე ხელობის შესასწავლად.

ხელობის შესასწავლად აყვანილ შეგირდს, როგორც ეს წესად იყო მიღებული, ოთხი წელიწადი მუქთად, უსასყიდლოდ უნდა ემსახურნა ოსტატთან.

პირველად შეგირდი მორბედის მოვალეობას ასრულებდა: აქეთ-იქით გზავნიდნენ, დაასაქმებდნენ, დუქანს დააგვევინებდნენ, სახლიდან კერძს აზიდვინებდნენ. როცა რამდენიმე წლის შემდეგ ხელობას შეისწავლიდა, შეგირდობიდან ქარგალი გახდებოდა. ამ შემთხვევაშიც, რა გინდ ხელობა კარგად სცოდნოდა, მაინც სრულფასოვან ოსტატად არ ით-





ვლებოდა, სანამ ქარგლობის ვადას არ გაივლიდა. ქარგალი ისევე მუშაობდა, როგორც ნამდვილი ოსტატი, ხელფასს კი ნაკლებს იღებდა. „სუფთა ოსტატი“ რომ დამდგარიყო და დალოცვის ღირსი გამხდარიყო, ქარგალს დიდი ჯაფა და

წვალება უნდა გაევლო.

ოსტატად „დალოცვას“ თავისი წესი ჰქონდა:

ერთი ხელობის ხელოსნები წინასწარ არჩეულ რომელიმე ბაღში შეიკრიბებოდნენ. აქ სუფრა იყო გაშლილი, უსტაბაში (ოსტატების მეთაური) ქარგალს გვერდით მოისვამდა; ქარგალს წელზე ბაღდადი ერტყა და შიგ თავისი ხელობის ერთი მირითადი ხელსაწყო-იარაღი ჰქონდა გარჭობილი. უსტაბაში, იმავე



დროს ტოლუმბაში იყო—თამადა. იგი პირველად ადღეგრძელებდა ქარგლის ოსტატს—მასწავლებელს, ვინც ხელობა შეასწავლა, შემდეგ ქარგალს დაახასიათებდა, მარჯვენას შეუქებდა და ასე დაარიგებდა:

— იყავი გამრჯე, გიყვარდეს შრომა, ნამუსიანად გაიარე შენი ცხოვრების გზა, ასახელე შენი გამზრდელები, რათა სიამაყით შემოგცქეროდნენ ისინი. სახელი მოუხვეჭე შენს ხელობას და ჩვენგან შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვებსაც გადაეცი... აბა, დაფიქრდი, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ყველას თავისი ცოდნა საფლავში ჩაეტანა!

ამ სიტყვის შემდეგ უსტაბაში დასალოცად გამზადებულ ჭაბუკს მსუბუქად სილას გაარტყამდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ამიერიდან უკვე იქ თავშეყრილ ოსტატთა თანატოლი ხდებოდა. შემდეგ გადაჰკოცნიდა და ყველანი ღვინით სავსე თიხის ფიალებს გამოსცლიდნენ ოსტატის სადღეგრძელოდ. მთელი საზეიმო ცერემონია მხიარულ დროს ტარებად გადაიქცეოდა. უკრავდა დაფა-ზურნა, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და შემდეგ ღიღინით გაეშურებოდნენ შინისაკენ. ეს დაუვიწყარი ღრეობა თუ „დროს ტარება“ არასოდეს ლოთობაში არ გადადიოდა.

„სხვისა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო“,—უთქვამს ჩვენს ხალხს. რამდენი სიმწარეა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი! ენა კი ადვილად იტყვის, მაგრამ განა მოჯამაგირეობაც ასევე ადვილია? შე-

გირდობასაც იგივე წვალება ახლდა, რაც მოჯამაგირეობას. მართალია, შეგირდს იმისათვის აიყვანდნენ ხოლმე, რომ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში რაიმე ხელობა შეესწავლებინათ, გზაზე დააყენებინათ, ამასთან მამაშვილურადაც უნდა მოქცეოდნენ, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ პირობა იყო. ეს პირობა მაშინვე დავიწყებას ეძლეოდა, როგორც კი მშობელი თავის შვილს გამოეთხოვებოდა და შინისაკენ გასწევდა. ზოგიერთი დამქირა-




ვებელი შეგირდსაც ისევე უღვთოდ ექცეოდა, როგორც ბატონი მოჯამაგირეს. ოთხი წლის განმავლობაში იგი თავისი ოსტატის კარზე ყველა შავ სამუშაოს ასრულებდა. არავინ დაეძებდა არც ბავშვის ასაკს, არც მის ჯანსა და უნარს. შეგირდობა ერთგვარი ფიზიკური გამოცდაც იყო: ვინც ამ აუტანელ და არაადამიანურ მოპყრობას ვერ გაუძლებდა, ნაადრევად იღუპებოდა კიდეც.

საბედნიეროდ, ყველაფერი ეს ახლა მხოლოდ ისტორიაა, ისტორია!

ანზორ აბულაშვილი

ნახატი ი. არდიშვილისა

# პირუბანელა



სულ პატარა ღრუბელი
სხვა ღრუბელთან დაწყვილდა,
მერე თუმცა მზე იყო,—
იქუხა და გაწვიმდა.
მერე გადაიდარა,
ნამში დარჩნენ ბაღები...
—მზემ პირი დაიბანა!—
ყიჟინებდნენ ბაღლები.
დედამ უსაყვედურა
პირუბანელ მანანას:
—ნეტავ, ერთი მაჩვენა,
პირი დაგაბანინა.
მზემ ხომ აი, დღეს ორჯერ
დაიბანა პირიო,
შენ კი წყლისა და საპნის
დანახვაზე ტირიო.—
იცით, რა თქვა მანანამ?
წამითაც არ დაიბნა:
—მზე რომ საპონს ისვამდეს,
ერთხელაც არ დაიბანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

# უკარება

ჩვენი აივნიდან კიბე სხვენში ადიოდა. ქეთინოს უყვარდა სხვენზე ასვლა, სადაც დიდედას ძველი ნივთები ჰქონდა შენახული. მაგრამ ყველაზე შლიერ იქ ჭრელი, ხატულა კატა იზიდავდა. ის უპატრონო იყო და დიდიხანია იქ ცხოვრობდა. ქეთინო ცდილობდა მის დამეგობრებას, მაგრამ კატა მიახლოვებისთანავე გარბოდა. ამიტომ სახელად „უკარება“ დაარქვა.

ერთხელ მთელი ოჯახი მაგიდასთან ჩაის შევექცეოდით. კარი ღია იყო. უეცრად უკარება შემოვიდა, ქეთინოს ფეხზე გაესახუნა, საწოლქვეშ შეძვრა და იქ გაუჩინარდა. უკარებას მოულოდნელმა სტუმრობამ ყველა გაგვაკვირვა. კატა მოვიდა მეორე და მესამე საღამოსაც და მალე შეგვეჩვია. მისი გაშინაურებისთანავე ჩვენი ბინიდან თაგვები სადღაც გადაიკარგნენ. მაგრამ ერთხელ უკარება აღარ გამოჩნდა. შეწუხდა ქეთინო. დაზვერა სხვენი. უკარება აღარც იქ იყო. გადავწყვიტეთ, ალბათ დაიღუპა ჩვენი მეგობარი ხატულა კატა.

ერთ საღამოს გარედან კნავილი შემოგვესმა. კართან უკარება იჯდა და საბრალოდ კნაოდა. ქეთინო შეეგება, დიდედამ კი მოხარშული ხორცის ნაჭერი იატაკზე დაუდო. უკარება გაბედულად მიუახლოვდა საჭმელს, შემოუარა, დასუნა, კვლავ საბრალოდ შემოგვკნავლა და სიბნელეში გაქრა. ხორცისათვის კბილი არ დაუკარებია.

— მასპინძლობა დაგვიწუნა! — თქვა დიდედამ და ხორცის ნაჭერი გადააგდო. როცა დასაწოლად მოვემზადეთ და კარი დავკეტეთ, ისევ შემოგვესმა კატის კნავილი და კარზე ბრჭყალების ფხაჭუნი. ეს უკარება დაბრუნდა და ორი თვალახელილი ხატულა კნუტიც შემოიყვანა. იმ ადგილას დაცუცქდა, სადაც დიდედამ ხორცის ნაჭერი დაუდო, და ცივი ხმით დაიკნავლა, თითქოს გვიჯავრდებოდა, რა იქნა ხორცის ნაჭერიო.

დიდედამ განჯინიდან ხორცის ახალი ნაჭერი გამოიღო, წვრილად დაჭრა და იატაკზე დაუყარა. უკარებამ ხორცი თაითით გაუნაწილა კნუტებს, თვითონ მხოლოდ მონარჩენები შეჭამა. ბოლოს შვილები ბინიდან გაიყვანა, კართან შემოტრიალდა და მხიარულად დაიკნავლა:

— ხვალ კიდევ გესტუმრებითო! — აგვიხსნა უკარებას კნავილი ქეთინომ.

მისი სიტყვა გამართლდა. მეორე საღამოს უკარება კვლავ გვესტუმრა თავისი კნუტებით.

ნახატი ი. არდიშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე

ნახატები გ. რონიშვილისა

# ზოოპარკში





(ნაწყვეტი პოემიდან)

მაიმუნი პრანჭია,—
სახე დაუმანჭია,
დარბის, დახტის, ქაქანებს,
საქანელას აქანებს,
რასაც მისცემ, აფუჭებს,
გესვრის თხილის ნაჭუჭებს.

სპილო ხომ გაგიგია?
დიდზე უფრო დიდია,
ცხვირის ნაცვლად ძლიერი
მას ხორთუმი ჰკიდია.
ვაშლი, პური, შაქარი
სწრაფად მიაქვს ხახაში,
უყვარს ჩვენი ყურება,
სიცილი და თამაში.
ერთხელ არც კი შერცხვა და
არც კი მოიბოდიშა,
და ხორთუმით პატარებს
თავზე წყალი მოგვიშვა.



კუზიანი აქლემი
არასდროს არ გინახავს?
ამბობენ, რომ ამ კუზში
უამრავ წყალს ინახავს.
კენჭები თუ ესროლე,
ცოტა თუ შეაწუხე,
გაბრაზდება შენზე და
უცბად შემოგაფურთხებს.
ო, რა დიდი გაზრდილა,
სულ მთლად ნაცრისფერია,
მე თუ მკითხავ, ნამდვილად
დიდი გაუზრდელია.



იქით მთელი მხეცების
მეფე—ლომი ღრიალებს,
ცოტა ახლოს თუ მიხვალ,
თვალებს დაგიბრიალებს.
კბილებსააკრაჭუნებს,
ტორებს დაჰკრავს გალიას,
მისი დიდს და პატარას
ეშინია ძალიან.



ლომის გვერდით ვეფხვია,
ისიც მტაცებელია,
სულ კატას ჰგავს ხატულას,
კატასავით ჭრელია.





ყველას დათვი სჯობია,—
ბანჯგვლიანი დათუნა,
მუდამ გვებურტყუნება
მე, მზიას და ხათუნას.
ცეკვაც იცის, თუკი სთხოვ,
თუმცა თხოვნა რად უნდა:
— ტაში, ჩემო დათუნა!
— დაუარე, დათუნა!



# ფერადი



## ჭიქა წყალი

ნახატები გ. რონიშვილისა

მერი ბოლქვაძე

— ნათელა, ეზოდან ცივი წყალი მომირბენინე შენს გაზრდას!— სთხოვა ბებომ შვილიშვილს.

— უჰ,—დაეზარა ნათელას და თამაშით გართულ ძმას მურმანს გადაულაპარაკა:—წადი რა, შენ მოარბენინე!

მურმანმაც უმცროს დას ხათუნას დაავალა.

ბებოს წყენა რომ შეატყვეს, ნათელა, მურმანი და ხათუნა ერთად გაიქცნენ წყლის მოსატანად.

— მე უნდა წავუღო, მე დამავალა ბებომ, ჭიქას ხელი უშვით!— აუყვირდა ნათელა.

— არა, მე მიმაქვს!—არ დაუთმო მურმანმა.

— არა, მე!—აწრიპინდა ხათუნაც.

სამივემ ხათითაოდ წყლით სავსე ჭიქა მიუტანეს ბებოს.

— მადლობელი ვარ, მე უკვე დავლიე!—უთხრა მათ ბებომ.



## ამირანის პასუხები

— რა გქვია?—ჰკითხა აღმზრდელმა ბაღში ახალმოყვანილ ბიჭს.

— ამირანი,—მიუგო მან.

აღმზრდელი სადღაც გამოიძახეს და დაბრუნებისას კიდევ ჰკითხა ბავშვს სახელი.

— მე სულ ყოველთვის ამირანი მქვია!—უპასუხა ნაწყენმა ბიჭმა.

ბიჭები ცხენობანას თამაშობდნენ.

— მეც მათამაშეთ რა,—შეეხვეწა ამირანი.

— არა, შენ ჯერ პატარა ხარ,—უთხრეს ბავშვებმა.

— მაშ, მე კვიცი ვიქნები!—არ გაიტეხა იხტიბარი ამირანმა.

თამარ ერისთავი



დედამ ბავშვებს სხვა ხილთან ერთად კაკალიც ჩამოურიგა. თინას მოთმინება აღარ ეყო და კაკალს გასატეხად სურა დაარტყა. კაკალი იატაკზე გაგორდა, თინას კი ხელში სურის ყური და ყელი შერჩა!

გ. რუხაძე



### თხუპნია

წერას ვსწავლობ, ვარჯიში
მიყვარს მეტისმეტად.
ბებო ზის და იცინის,
რა აცინებს ნეტავ?

ოთარ კუპრავა

### საკენკი თუ რძე

წია, წია, წიწილავ,
გაგიშლია ფრთები,
მუდამ საკენკს დაეძებ,
ჭიებს ეტანები,—
რძე არა სჯობს? დალიე,
ჩქარა გაიზრდები.



ნ. მენდელსონი

## დათვური სამსახური

ეს ამბავი კავკასიაში მოხდა.

ერთ-ერთ სანატორიუმში დარაჯად ბაბუა ეფიმი მუშაობდა. მას პატარა ბოსტანი ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, ქვებით იყო სავსე.

ყოველ გაზაფხულზე ბაბუა ეფიმი ბევრს შრომობდა და ქვებისაგან ნელნელა ასუფთავებდა ბოსტანს. ბოლოს ორი დიდი ლოდი დარჩა ნაკადულის პირას, ბოსტანს გვერდით რომ ჩაუდიოდა. ქვები მიწაში ისე ჩაზრდილიყო, რომ ბაბუა ეფიმმა მათი ადგილიდან დაძვრა ვერ შესძლო და ვერა.

ერთ დილას ბაბუა ეფიმი ბოსტანში გავიდა და სასწაული დაინახა: ის ლოდები იქ აღარ იყო. იმ ადგილის ირგვლივ კი ნაკვალევი შეამჩნია, რომელიც ადამიანის ფეხის ნაკვალევს წააგავდა, მხოლოდ ბრჭყალები აჩნდა.

— ოჰო, დათუნია მოსულა,—მიხვდა ბაბუა ეფიმი.—გმადლობთ, ჩემო მეგობარო, მაგრამ სხვა დროს კი უნებართვოდ ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს.

„მეგობარი“ ლოდების ქვეშ თურმე გემრიელ ხოჭოებს ეძებდა,—იმ ბაჯბაჯას პირის ჩაგემრიელება უნდოდა. ლოდები მიწიდან ამოაგდო და პირდაპირ ნაკადულში გადაუშვა.

აი, რა სამსახური გაუწია ბაბუა ეფიმს დათვმა შემთხვევით!




ეროვნული ბიბლიოთეკა





ყაყაჩოების ქორწილი მაქვს, მეგობრებო, მობრძანდით, მეწვიეთ ნადიმზე! გულუხვმა ბუნებამ მომცა ყველა ეს სათამაშო: ნეფე-პატარძალი და მათი მაყრიონი, მზითევი, ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი და სურსათ-სანოვაგე.

პატარძალი ყაყაჩოსაგან გავაკეთე. გაუშლელ კოკორს მწვანე ქათიბი გულამდე შევუხსენი და შიგ შეჭმუჭნილი წითელი კაბა-ფურცელი ჩამოვუშალე. თავზე მეორე კოკრის ლეჩაქიანი გული ჩამოვაცვი. აი, პატარძალიც მზად არის. ნეფედ დაყვავილებული ყაყაჩოს გული შევარჩიე. მაყრიონიც ამავე წესით გამომიწყვეს მეგობრებმა. ქალებს თვალ-წარბი ყაყაჩოს მელნით დაუწინწკლეს, კაცებს კი ნამცეცა ნახშირის თვალებმა უფრო ვაჟკაცური იერი მისცა.

აი, ფერხულია გაჩაღებული. დედოფლები ძაფზე აუსხამთ, ძაფის წვერები ორს უჭირავს და ათამაშებენ. მემუსიკენი ჩალის სტვირებს უკრავენ და მის ხმაზე მეფერხულენი ცეკვავენ. სუფრა ქვის მაგიდებზეა გაშლილი. ჩამოარიგეს ლენცოფას ან ყაყაჩოს გულებიდან გაკეთებული სურები, შიგ ღვინოდ ყაყაჩოს მელნით შეფერილი წყალი ჩაასხეს, ხოლო ჩხირებით ამოსუფთავებულ ყვავილის გულებს ყანწებად და ჯამებად ხმარობენ. სიპი ქვის ნატეხ-ანატკეცები დანებად დაალაგეს, გვერდით კი ეკლის ჩანგლები მოუწყვეს. ეკლის შამფურებზე წამოცმული სოკოს მწვადები უხვადაა სუფრაზე. გინახავთ ბალბის ნაყოფი? ის მშვენიერი ქადა-პურები არის, სალათად კი ფოთლები დაკეპეს. პატარძალს მზითვად ყაყაჩოს კოკრის მუთაქები და წითელი ბალიშები გაუმზადეს. მწვანე ხავსის საბნები ფოთლის მაფრაშებში გამოუკრეს და ყოჩივარდას ძირებისა ან მიწავაშლას ბორბლებიან ურემზე დაუწყვეს.



ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ შეიძლება მიემატოს ამ სუფრას! ეს უკვე თქვენს მიხვედრასა და უნარს გააჩნია.

ს. ბედუკაძე



6.64/103

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყდის მხატვრობა ეკუთვნის შ. ცხადაძეს და გ. ფოცხიშვილს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი ფასი 2 მან.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

Д И Л А – ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 5, май. 1958 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 157, სტამბის შეკვ. № 525
ტირაჟი 20000 უე 00907 ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III 1958 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში